

სარბი ჯიჟია

თურქულ-აზერბაიჯანული ეპოსის—„ქერემი და  
ასლის“ შესახებ

ცნობილია, რომ ქართულ ეროვნულ ფოლკლორულ ნაწარ-  
მოებთა სრულყოფილად შესწავლისათვის უეჭველად დიდი მნიშვნელობა ენი-  
ჭება, ერთი მხრივ, საზოგადოდ მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორისტიკის მიღ-  
წევების გაცნობასა და გათვალისწინებას, მეორე მხრივ და განსაკუთრებით,  
საქართველოს უახლოეს მეზობელ ხალხთა ზეპირსიტყვიერების შესწავლას.  
ამიერკავკასიის ხალხები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ დაქმნიდნენ თა-  
ვიანთ კულტურას შედარებით მცირე ტერიტორიაზე. ეს გარემოება განაპი-  
რობებდა მათ მკიდრო ურთიერთობას ხალხთა ცხოვრების ყველა დარგში,  
გერძოდ კი, კულტურის დარგში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამიერკავკასიის  
ხალხთა კულტურული თანამშრომლობა ხალხური ზეპირსიტყვიერების შე-  
მოქმედების სფეროში. ტერიტორიული სიახლოვე, მეტწილად ერთნაირი ის-  
ტორიული ბედი, სახალხო მეურნეობის განვითარების დაახლოებით ერთნა-  
ირი პირობები ხელს უწყობდნენ იმას, რომ ამიერკავკასიის ერთა ზეპირსიტ-  
ყვიერებაში ბევრი საერთო ყოფილიყო როგორც ნაწარმოებთა მოტივების  
საერთო სიუჟეტური თვალსაზრისით, ისე პოეტური მეტყველებისა თუ ხორც-  
შესხმის მიხედვით.

ჩვენთვის საკუთრა ვიცნობდეთ ამიერკავკასიის ხალხთა ზეპირსიტყვი-  
ერ მხატვრულ შემოქმედებას არა მარტო ზოგად ხაზებში, არამედ თითოეულ  
თხზულებას ცალკე და საფუძვლიანად. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი სპეციალის-  
ტები დიდი გულისყურით ეკიდებიან მეზობელ ერთა ხალხურ შემოქმედებას  
(მაგალითად, რამდენიმე შრომა დაიწერა ოსურ ნართებზე, გამოიცა ძველი  
აღმოსავლეთის ეპოსი „გიღგამეშინი“ და სხვ.) მაგრამ, ამავე დროს, შეიძ-  
ლება ითქვას, ჩვენი მეზობელი ხალხების—თურქებისა და აზერბაიჯანელებ-  
ის მდიდარი, შინაარსისა და მხატვრულობის მიხედვით ფრიად საინტერესო  
ზეპირსიტყვიერების ძეგლებს ჯერ ჩვენ თითქმის არ ვიცნობთ. აზერბა-  
იჯანული და თურქული ზეპირსიტყვიერი კულტურის შესწავლას კი უთუ-  
ოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც მისი ცოდნა საშუალებას იძ-  
ლევა გავეცნოთ არა მარტო აზერბაიჯანულსა და თურქულ მხატვრულ ზე-  
პირსიტყვიერებას, არამედ მისი მეშვეობით მეტნაკლებად შევიდეთ საზოგა-  
დოდ თურქულენოვან ხალხთა ფოლკლორის საინტერესო სამყაროში. ჩვენი  
ფოლკლორული ნაწარმოებების ანალიზისას, მაგალითად, აზერბაიჯანული,  
თურქული და სომხური სათანადო ჟანრის მონაცემებს უსათუოდ დიდი ან-

გარიში უნდა გაეწიოს. „ქოროლი“, „აშულ ყარიბი“ და ზოგიერთი სხვა თურქულ და აზერბაიჯანულ ეპიკურ თქმულებათა, უფრო მეტად, ფრაგმენტული ვერსიები ცნობილია ჩვენშიც. ჩვენებური ვერსიების ანალიზის შედეგად შესაძლოა მივიღოთ ფრიად საინტერესო დასკვნები იმის შესახებ, თუ რა შეიტანა თავისი სპეციფიკური ქართულმა ხალხმა თქმულებების მოტივებში ან სიუჟეტებში. ქართველი ხალხის დაინტერესება მეზობელ ხალხთა ზემოქმედებებით იმაშიც ვლინდება, რომ ჩვენს საბჭოელეთსაცავებში დაცულია მთელი რიგი ქართული დაწერილობით შესრულებული ფრაგმენტებიც, მაგალითად, აზერბაიჯანული ეპიკური თქმულებებიდან. კერძოდ: „ქერემი და ასლის“ აზერბაიჯანულ გამოცემლებს ა. ახუნდოვსა და მ. თაჰმასიბს რამდენიმე მითითება აქვთ ებოსის ნაწყვეტების ქართულ ტრანსკრიფციაში მოცემულ ვარიანტებზე<sup>1</sup>.

ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია მოკლედ გავაცნოთ ქართველ მკითხველებს ერთ-ერთი თურქულ-აზერბაიჯანული დესტანი „ასლი და ქერემი“, რომელიც თურქული ეპიკური თქმულების მშვენიერი ნიმუშია. ეს დესტანი საინტერესოა ჩვენთვის იმათაც, რომ პერსონაჟების სამოქმედო ასპარეზი, ამიერკავკასიის სხვა მხარეებთან ერთად, საქართველოც არის. მოქმედი პირები ჩაჰოდიან საქართველოში (თბილისი, ახალციხე, ჩილდირი, ოლთისი და სხვ.), ხვდებიან და საუბრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებთან; ებოსის აზერბაიჯანული ვარიანტის მიხედვით დასახელებულია თათქოს კონკრეტული პირებიც: თბილისელი თავადი<sup>2</sup> და სტამბოლურ ვარიანტში კი—ქართველი ამირახორი (=ამილახვარი)<sup>3</sup>. გარდა ამისა, დესტანში აღწერილია საქართველოს ბუნება, დახასიათებულია საქართველოს მოსახლეობა, მისი ქალიშვილები და ქაბუკები, ლაპარაკია მათ ჩაცმულობაზე და სხვ. საუბრობდ მიმაჩნია აქ „ასლი და ქერემის“ დესტანის ძლიერ შემოკლებული შინაარსი მოვიყვანო (მოკლე შინაარსი ძირითადად პროფ. მ. ნ. ოზონის მიხედვითაა გაკეთებული ზოგიერთი ცვლილებით)<sup>4</sup>:

ისფაჰანის ერთ-ერთ შაჰსა და მის ხაზინადარ ხუცესს შვილები არ უჩინდებოდათ. ბევრი ლოცვა-ვედრების შემდეგ შაჰს ვაჟი შეეძინა, ხუცესს—ქალი. ვაჟს აჰმედ მირზა დაარქვეს, ქალს—ყარასულთანი. მამები წინასწარ შეთანხმდნენ—ბავშვები რომ დაიზრდებიან, ერთმეორეზე დაეპოროწინოთ. მაგრამ ხუცესი ცდილობს, თავი დააღწიოს დადებულ პირობას. ბოლოს ტყუილს მოიშველიებს—ბავშვი მომიკვდაო, თავს ანებებს შაჰის სამსახურს და ქალაქიდან სამი დღის სავალზე მდებარე სოფელ ზენგიში გადასახლდება.

გავიდა დრო, აჰმედ მირზა დაეაყვაცდა. ერთხელ მან სიზმარში ნახა ყარასულთანი და მისი ხელით მოწოდებული „ტრფობის ნუნუა“ შესვა.

აჰმედ მირზა და მისი მეგობარი სოფუ სანადიროდ წავიდნენ. აჰმედ მირზას შევარდენი ერთ ბაღში გადაუფრინდა. ვაჟიც გადაჰყვა. დაინახა, ბაღში ასული ზის და ქარგავს. უფლისწული გამოელაპარაკა ქალს. ამის შემდეგ უფლისწულს ქერემი დაერქმევა, ქალს—ასლი.

<sup>1</sup> Azərbaycanlıların daстанлары. 11, ბაკო, 1966. გვ. 412, 421, 442 და სხვ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 421.

<sup>4</sup> M. N. Özön, Edebiyat ve Tarih Sözlüğü, ანკარა, 1954, გვ. 153.

ასლის ნახვა იყო და, კაბუკმა კამა-სმაზე ხელი აიღო, დადარდიანდა. მისი საიდუმლოება ერთმა დედაბერმა გაიგო და შპს მოახსენა. შპსმა ხუცესს, პირობის თანახმად, ქალი მოსთხოვა. რჯულის სხვადასხვაობის გამო ხუცესი უარზეა. იგი თავისი ცოლ-შვილით სხვა ქვეყანაში გაიქცევა. ქერემი და სოფლუც მათ დაედევნებიან. ხუცესმა მოიარა ზენგი, პოი, შუშა, განჯა, თბილისი, ერევანი, აჯუზი, ჩილდირი, ახალციხე, სეპქერიე, ორხანი, გურჯისტანი, გელზე, ყარსი, ოლთისი, ნარმანი, ბაიაზიდი, ურგუბი, ვანი და სუფხანის მთის გადალახვით ახლათი, მუში, ჩანლი ქილიაე, მალაზგირთი, პასანყულა (ბასიანი)... კაბუკებიც ყველგან მიჰყვებიან, ჩერდებიან, საზს უკრავენ, ხუცესის ამბავს გამოიკითხავენ. ამ მოგზაურობისას ქერემს ერთხელ შეხვდება ხიზირი<sup>5</sup>, რომელიც მას დაეხმარება ცოტა ხნით ნახოს ასლი.

ბოლოს ქერემმა გაიგო, რომ ხუცესი თავისი ოჯახით კესარიაში ჩაეიდა. თვითონაც იქ გაჩნდა.

კესარიაში ხუცესი საპატიმროს უფროსად დაენიშნათ. მისი ცოლი კი ავადმყოფებს კბილებს აძრობდა. ქერემი მივიდა მათ სახლში კბილის ამოსაღებად, თავი ასლის ჩაუღრო კალთაში და ყველა კბილი დააძრობინა. ასლიმ მაშინლა იცნო ქერემი, როცა მან სირმით მოქარგული მანდილი ამოიღო.

ამის შემდეგ ქერემი ღმერთს ევედრება, „ჩემი სიყვარულის მეოთხედი ასლის მიეციო“. ღმერთმა შეისმინა ქერემის ვედრება. ქალს იგი შეუყვარდება, უმაღლესი ჩაეკრობა და მუსლიმი გახდება.

ერთ ღამეს, როცა ქერემი ხუცესის სახლში შეპარვას ცდილობდა, იგი დაიპირეს და საპყრობილეში ჩააგდეს. მოკვლა დაუპირეს, მაგრამ მსაჯულმა დასტური არ მისცა.

კეისარიის ბეგის და პასენე ხანუმი ვარდის ბაღში შეკრებს ორმოც ქალიშვილს. მათში გაურევს დაძონძილ ტანსაცმელში გადაცმულ ასლის. მაგრამ ქერემი მაშინვე გამოიცნობს მას. პასენე ხანუმი დარწმუნდება, რომ ქერემი ღვთიურად შეყვარებულა. იგი დაითანხმებს თავის ძმას, რომ ასლი და ქერემი შეაუღლოს. ხუცესი ამჯერად ალეპოში გაიქცევა. ქერემიც ალეპოს მიაშურებს, მაგრამ აქ მას დაიკერენ და ფაშას მიჰგვრიან. საბედნიეროდ ფაშა ქერემის მიერ გააზატებული ყმა აღმოჩნდა. მან იცნო ქერემი და მონდომა ქალიშვილის დაქორწინება ქერემზე. ხუცესმა თავის ქალიშვილს ჯადოსნური კაბა მოუმზადა. ქერემი კაბის დუგების გახსნას როცა დაიწყებდა და ბოლო ორი დუგმალა დარჩებოდა გაუხსნელი. კაბა კვლავ თავიდან იკვრებოდა. ასე გრძელდებოდა გარიყრამდე. განთიადისას ქერემი ერთს ისეთს ამოიხსრებს, რომ პირიდან ცეცხლის ალი ამოუფარდება და თმაზე წაეკიდება. ქალი ცეცხლის ჩაქრობას ცდილობს, მაგრამ ამაოდ. ქერემი უკვე დაიფერფლა. ქალი ორმოც დღეს დარაჯობს ქერემის ფერფლს. გაუხატულ ფერფლს ასლი თავისი თმისგან შეკრული ცოცხით აგროვებს, მაგრამ ცეცხლი თმაზე მოედება და თვითონაც დაიწევა. ასლისა და ქერემის ფერფლი ერთმანეთში აირია<sup>6</sup>.

<sup>5</sup> ვითომ უკვდავებას მიღწეული წინასწარმეტყველი, რომელიც გაქირვებაში ჩავარდნილ ადამიანს ეხმარება.

<sup>6</sup> „ქერემი და ასლი“-ს ბევრი ვარიანტი არსებობს. მრავალჯერ და ბევრ ქვეყანაში გამოიცა, მაგრამ სრული და კრიტიკული ტექსტი ეპოსისა ჯერ არ გამოქვეყნებულა.

ქერეში და სოფუ რომ ასლის მამას გაეკიდნენ, მრავალი ქვეყანა მოიარეს. ვერსად ვერ დაეწივნენ ზუცესს. ორბანის მხარეში ქალიშვილებთან შეხვედრისა და საზზე დაკვირისა და დაძღვრების შემდეგ ქერემს უთხრეს, რომ შენა ასლი გურჯისტანში გადავიდაო. ქერეში და სოფუ უმაღლესად გაუდგნენ საქართველოს გზას. ჩავიდნენ საქართველოში. შევიდნენ ყაფახანაში. აქ ნახეს, რომ საქართველოს ვილაეთის ხალხი სიასამურის თავსაბურავს ატარებს. ქერეში მათთან მივიდა და იკითხა: გაიარა თუ არა ამ გზაზე ხუცესმა. მათ კი უთხრეს: თუ საზს დაუკრავ და დაამღერებ, გეტყვითო. ქერემმა უთხრა—როგორი სიმღერა გინდათო. მათ უთხრეს—ჩვენს ჩაცმულობასა და გარეგნობაზე გვიმღერეთო. ქერემმა აიღო საზი ხელში და ასე თქვა (ჩვენ აქ მოგვყავს ლექსი -ქერეში და ასლის“ სტამბოლური ვარიანტიდან, რომელიც ქერემმა საზზე დაამღერა საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში. ეს ლექსი ქართველებზეა გამოთქმული და ქართული სიტყვებიც არის გამოყენებული. ტექსტი თურქულია, რომელსაც დავურთეთ ქართული თავისუფალი თარგმანი):

აილო (საზი) ქერემმა:

- |  |                                   |
|--|-----------------------------------|
| 1. გურჯისტანის ქვეყანაში გასეირნებით<br>დავტკბი,                                   | 1) سير ايلدم گورجستان ايلنى       |
| 2. მხარეებია, ჩვენს მხარეებს არა ჰგავს.  | 2) ايللى وار بزم ايله بکزمه       |
| 3. დავიარე მისი ბალები და ბაღები,  | 3) باغ و باغچه سنى سير ايلدم      |
| 4. ვარდებია, ჩვენს ვარდებსა არა<br>ჰგავს.  | 4) كللى وار بزم كله بکزمه         |
| 5. ხელები აქვთ, ნაწერს ქმნიან აზრი-<br>ანს,  | 5) ايللى وار بازى يازار معانى     |
| 6. ვარდები აქვთ, აძლევს შვებას დარ-<br>დიანს.                                      | 6) كللى وار ويرر درده درمانى      |
| 7. საამერად ინაწასმულხელებიანი (ქა-<br>ლები), გამიჯნურებული (ქაბუეები)<br>[ჰყავთ], | 7) ايللى خوش خنالى عاشق بيانى     |
| 8. დოვლათი აქვთ, ჩვენს დოვლათსა<br>არა ჰგავს.                                      | 8) ماللى وار بزم ماله بکزمه       |
| 9. თავზე სიასამურის საბურავს იხურა-<br>ვენ,  | 9) باشلرینه سمور قالباق كييرلر    |
| 10. ერთმანეთს რომ ეძახიან, მოი, მოი-<br>ო, ამბობენ.                                | 10) چاغيرانده موى موى دييرلر      |
| 11. კამენ ცხოველის ხორცს, ღორის<br>ხორცს,  | 11) حيوان اتى خنزير اتى ييرلر     |
| 12. შეტყველება აქვთ, ჩვენს შეტყვე-<br>ლებას არა ჰგავს.                             | 12) ديلىرى وار بزم ديله بکزمه     |
| 13. მათი ბობოქარი მღინარეები გადა-<br>ლანს.  | 13) جوشقون جوشقون چاليرينى كچديكم |
| 14. მათი ცივ-ცივი წყაროს წყალი ვსვო.   | 14) صوغوق صوغوق صولرينى ايجديكم   |

15. ქერემი ამბობს: მათი ლამაზმანები

შევათვალიერე,

15) كرم ايدر دئيرلرين سچديكم

16. მიხვრა-მოხვრა აქვთ, ჩვენებისას არა  
ჰგავს

16) حنرى وار بزم حاله بکزمز

[ქერემმა ეს] თქვა და შეწყვიტა.

ديوب كدى

მოყვანილი ლექსი ყურადღებას იქცევს იმ თვალსაზრისითაც, რომ მას-ში ჩართულია ქართული სიტყვები „მოი, მოი“, რაც დასავლურ-ქართული დიალექტური ფორმაა „მოდი, მოდი“ სიტყვისა. აზერბაიჯანულ მეცნიერთა მიერ გამოცემული „ქერემი და ასლის“ ტექსტის სათანადო აღვილი, ფფ-ქ-რობ, უმართებულოდ „მოი, მოი“ გასწორებულია ლიტერატურული მოდი. მოდი ფორმებით<sup>8</sup>. „მოი, მოი“ ქართული სიტყვები ასეთივე მნიშვნელობით უკვე დიდი ხანია ცნობილია აგრეთვე დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ხაყანი შირვანელის ლექსში: *موى موى موى كه موى موى زغمت* [ბოლო სტრაჟონი] *Приди! приди! (=мон, мон), я стал волосом волоса от грусти по тебе?*

ლოც. დიღარა აღიევას ამ სტრაჟონის ასეთი თარგმანი მოჰყვას: *Приди, приди, я превратился в тонкий волосок от Слезжа\_жиссти*<sup>9</sup>.

ხაყანის ამ ლექსის ვარიანტი ქართულად თარგმნა პროფ. ალ. გვაზარაძე:

„თმადანული სატრფოს ენათ ვეცეზი,  
წაეალ. აფხაზეთში დავსახლდებო.  
ტყბილქართულით ვეხმინე—მო, მო!  
იმდენგზის, რომ ენად შექცეს თენე“<sup>11</sup>.

პროფ. მაგ. თოდუამ თავაზიანად მოგვანოლა ცნობა იმის შესახებ, რომ ხაყანის კიდევ პქონია ერთი ლექსი, სადაც „მოი“ იკითხება:

چون موى شدم ز بکه بر دم ستم  
موى موى كه موى موى زغمت

„თმას-კით გამაწვრალა შენა ამღუნა მტარვალთანა.  
მოი, მოი, თორემ შენზე ჭავრით ვგოდუნა“<sup>12</sup>.

ამრიგად, მოი, მოი ქართული სიტყვების ხმარება დადასტურებულია ორჯერ ხაყანი შირვანელის სხვადასხვა ლექსში და აგრეთვე „ქერემი და ასლის“ მრავალ ვარიანტში. ჩანს, ეს სიტყვები ქართულ მტყვევლებს და მახასიათებელ სტანდარტულ გამოთქმად იხმარებოდა მეზობელ ტ. ლტებში.

<sup>7</sup> სტაბოლი, 1927, გვ. 37 *كرم ايله اولى حكايمتك تكميل نخسى*

<sup>8</sup> *Азербайжан халг дастанлары*, I, ბაქო, 1961, გვ. 55; *Азербайжан дастанлары*; II, ბაქო, 1966, გვ. 34.

<sup>9</sup> Ю. Н. Марр, К вопросу о позднейших толкованиях Хахаки. «Хахаки, Низамы, Руставели», ტფილისი, 1935, გვ. 13—14.

<sup>10</sup> Д. Алиева, Из истории азербайджанско-грузинских литературных связей. ბაქო, 1958, გვ. 15.

<sup>11</sup> გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, № 23, 1963 წლის 29.IX.

<sup>12</sup> იხ.: *ديوان خاقاني شرواني بکوشش داکتر ضياء الدين سجادی [پران]* 12  
გვ. 708. პროფ. მ. თოდუას ამ ცნობისათვის მადლობას მოვუხატებ.